ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 124

"28" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 აპრილის №5/21711 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქ. თბილისში, დელისის ქუჩის მიმდებარედ№01.14.15.001.314; №01.14.15.001.316 და№01.10.11.001.168 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ჯამში 8881.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შემდგომში შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტისთვის" სიმბოლურ ფასად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ კომპანია ქ. თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ №01.14.14.005.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი